



2024 წ.

ოპერატიული ინფორმაცია

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-დეკემბერი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-დეკემბრის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2024 წლის 26 იანვრისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, იანვარი, 2024 წ.

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება 22,673.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (22,170.9 მლნ ლარი) 102.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს კი 2,144.4 მლნ ლარით (10.4%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).


გადასახდელების შესრულება 22,343.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (22,311.3 მლნ ლარი) 100.1%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-დეკემბრის მარჯვენებელს 2,180.7 მლნ ლარით (10.8%-ით) აჭარბებს.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 12 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრლ ლარი, %)



შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 329.8 მლნ ლარს** შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის პირველი იანვრისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 1,577.3 მლნ ლარის ოდენობით.

2014-2023 წწ. 12 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)




რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, წლიურ გეგმასთან შედარებით გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლების (102.6%), არაფინანსური აქტივების კლებისა (101.7%) და ვალდებულებების ზრდის (105.6%) კომპონენტები, ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტები გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (64.6%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური დამტკიცებული გეგმით განსაზღვრულ მოცულობებს აჭარბებს ხარჯების (100.2%), არაფინანსური აქტივების ზრდისა (100.4%) და ფინანსური აქტივების ზრდის (105.5%) კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები. კარგი შესრულების დონით ხასიათდება, ასევე, ვალდებულებების კლების კომპონენტის შესრულება (97.7%).

დასახელება	2023 წლის გეგმა	12 თვის შესრულება	12 თვე / წლიური გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	12 თვის შესრულება	12 თვე / წლიური გეგმა
შემოსულობები	22,170.9	22,673.6	102.3%	გადასახდელები	22,311.3	22,343.7	100.1%
შემოსავლები	18,239.9	18,713.9	102.6%	ხარჯები	16,899.9	16,925.4	100.2%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	203.4	101.7%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,955.7	3,969.5	100.4%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	290.8	64.6%	ფინანსური აქტივების ზრდა	337.2	355.8	105.5%
ვალდებულებების ზრდა	3,281.0	3,465.5	105.6%	ვალდებულებების კლება	1,118.5	1,092.9	97.7%


რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და მთლიან სალდოს, 2023 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 1,788.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-1,977.7) მლნ ლარი.

2014-2023 წლების 12 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)




შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, გადასახადების მიმოხილვა, რაზეც იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსავლების 90.8% და მთლიანი შემოსულობების 75.0% მოდის. კერძოდ, 12 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 16,994.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის 101.7%-ს შეადგენს. ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადებისა, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ხასიათდება და 372.1% შეადგენს) წლიური გეგმის მიმართ მობილიზაციის კარგი დონით ხასიათდება და 99.8%-102.3%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,017.5 მლნ ლარით (13.5%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის (930.4 მლნ ლარით) და დღგ-ის (756.8 მლნ ლარით) მნიშვნელოვანი მატების გავლენით.

2022-2023 წწ. 12 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, ხარჯების, შესრულებამ იანვარ-დეკემბერში 16,925.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.2%-ია. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, წლიურ დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, გადაჭარბებით გამოირჩევა საქონელი და მომსახურება (102.6%), სუბსიდიები (101.2%), გრანტები (103.8%) და სოციალური უზრუნველყოფა (100.6%). შესრულების კარგი დონით ხასიათდება შრომის ანაზღაურება (97.3%), პროცენტი (98.4%) და სხვა ხარჯები (97.6%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 1,575.3 მლნ ლარით (10.3%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფისა (754.0 მლნ ლარით) და პროცენტის (435.4 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.

2022-2023 წწ. 12 თვის ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 12 თვის შესრულება	2022 წლის 12 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 12 თვის შესრულება	2023 წლის 12 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 12 თვის შესრულება / 2022 წლის 12 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	18,377.7	20,529.2	22,170.9	22,673.6	502.6	102.3%	2,144.4	10.4%
შემოსავლები	12,750.3	16,450.2	18,239.9	18,713.9	474.0	102.6%	2,263.6	13.8%
გადასახადები	11,439.5	14,976.7	16,710.4	16,994.2	283.8	101.7%	2,017.5	13.5%
საშემოსავლო გადასახადი	3,491.5	4,644.4	5,486.4	5,574.8	88.5	101.6%	930.4	20.0%
მოგების გადასახადი	1,015.3	1,930.2	2,000.0	2,018.2	18.2	100.9%	88.0	4.6%
დღგ	4,883.9	6,036.8	6,804.0	6,793.7	-10.3	99.8%	756.8	12.5%
აქციზი	1,868.8	2,010.2	2,220.0	2,270.3	50.3	102.3%	260.0	12.9%
იმპორტის გადასახადი	86.4	126.0	150.0	151.2	1.2	100.8%	25.2	20.0%
სხვა გადასახადები	93.6	229.1	50.0	186.0	136.0	372.1%	-43.1	-18.8%
გრანტები	487.1	359.1	279.6	322.9	43.4	115.5%	-36.2	-10.1%
სხვა შემოსავლები	823.7	1,114.5	1,250.0	1,396.8	146.8	111.7%	282.3	25.3%
არაფინანსური აქტივების კლება	212.6	202.8	200.0	203.4	3.4	101.7%	0.5	0.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	163.3	144.2	450.0	290.8	-159.2	64.6%	146.6	101.7%
ვალდებულებების ზრდა	5,251.5	3,731.9	3,281.0	3,465.5	184.5	105.6%	-266.4	-7.1%
საგარეო	5,558.0	2,385.5	1,881.0	2,006.1	125.0	106.6%	-379.5	-15.9%
საშინაო	-306.5	1,346.3	1,400.0	1,459.4	59.4	104.2%	113.1	8.4%
გადასახდებები	19,807.5	20,163.0	22,311.3	22,343.7	32.4	100.1%	2,180.7	10.8%
ხარჯები	14,197.9	15,350.2	16,899.9	16,925.4	25.5	100.2%	1,575.3	10.3%
შრომის ანაზღაურება	1,654.8	1,792.1	2,237.1	2,177.2	-60.0	97.3%	385.1	21.5%
საქონელი და მომსახურება	1,800.1	1,870.9	2,085.4	2,139.1	53.6	102.6%	268.2	14.3%
პროცენტი	790.5	746.8	1,201.0	1,182.2	-18.8	98.4%	435.4	58.3%
სუბსიდიები	859.8	1,004.6	932.6	943.9	11.3	101.2%	-60.7	-6.0%
გრანტები	950.2	1,260.6	1,370.0	1,422.6	52.5	103.8%	162.0	12.8%
სოციალური უზრუნველყოფა	6,082.6	6,052.1	6,762.9	6,806.1	43.2	100.6%	754.0	12.5%
სხვა ხარჯები	2,059.8	2,623.1	2,310.8	2,254.5	-56.4	97.6%	-368.6	-14.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,544.2	3,304.4	3,955.7	3,969.5	13.9	100.4%	665.1	20.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	323.2	489.4	337.2	355.8	18.6	105.5%	-133.6	-27.3%
ვალდებულებების კლება	2,742.3	1,019.0	1,118.5	1,092.9	-25.6	97.7%	73.9	7.3%
საგარეო	2,655.8	976.1	1,075.6	1,050.3	-25.3	97.6%	74.2	7.6%
საშინაო	86.5	42.9	42.9	42.6	-0.3	99.3%	-0.2	-0.5%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	-1,429.8	366.2	-140.4	329.8	470.2		-36.3	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 12 თვის შესრულება	2022 წლის 12 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 12 თვის შესრულება	2023 წლის 12 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 12 თვის შესრულება / 2022 წლის 12 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	12,750.3	16,450.2	18,239.9	18,713.9	474.0	102.6%	2,263.6	13.8%
გადასახადები	11,439.5	14,976.7	16,710.4	16,994.2	283.8	101.7%	2,017.5	13.5%
გრანტები	487.1	359.1	279.6	322.9	43.4	115.5%	-36.2	-10.1%
სხვა შემოსავლები	823.7	1,114.5	1,250.0	1,396.8	146.8	111.7%	282.3	25.3%
ხარჯები	14,197.9	15,350.2	16,899.9	16,925.4	25.5	100.2%	1,575.3	10.3%
შრომის ანაზღაურება	1,654.8	1,792.1	2,237.1	2,177.2	-60.0	97.3%	385.1	21.5%
საქონელი და მომსახურება	1,800.1	1,870.9	2,085.4	2,139.1	53.6	102.6%	268.2	14.3%
პროცენტი	790.5	746.8	1,201.0	1,182.2	-18.8	98.4%	435.4	58.3%
სუბსიდიები	859.8	1,004.6	932.6	943.9	11.3	101.2%	-60.7	-6.0%
გრანტები	950.2	1,260.6	1,370.0	1,422.6	52.5	103.8%	162.0	12.8%
სოციალური უზრუნველყოფა	6,082.6	6,052.1	6,762.9	6,806.1	43.2	100.6%	754.0	12.5%
სხვა ხარჯები	2,059.8	2,623.1	2,310.8	2,254.5	-56.4	97.6%	-368.6	-14.1%
საოპერაციო სალდო	-1,447.6	1,100.1	1,340.0	1,788.4	448.4	133.5%	688.3	62.6%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,331.6	3,101.6	3,755.7	3,766.2	10.5	100.3%	664.6	21.4%
ზრდა	2,544.2	3,304.4	3,955.7	3,969.5	13.9	100.4%	665.1	20.1%
კლება	212.6	202.8	200.0	203.4	3.4	101.7%	0.5	0.3%
მთლიანი სალდო	-3,779.2	-2,001.5	-2,415.7	-1,977.7	437.9	81.9%	23.8	-1.2%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,269.9	711.4	-253.2	394.8	648.0	-156.0%	-316.6	-44.5%
ზრდა	323.2	855.6	337.2	685.7	348.5	203.3%	-170.0	-19.9%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	366.2	0.0	329.8	329.8		-36.3	-9.9%
სესხები	323.2	477.3	337.2	354.3	17.1	105.1%	-123.1	-25.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	12.1	0.0	1.5	1.5		-10.6	-87.4%
კლება	1,593.1	144.2	590.4	290.8	-299.5	49.3%	146.6	101.7%
ვალუტა და დეპოზიტები	1,429.8	0.0	140.4	0.0	-140.4	0.0%	0.0	
სესხები	160.8	143.2	450.0	289.3	-160.7	64.3%	146.0	101.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	2.5	1.0	0.0	1.6	1.6		0.6	60.6%
ვალდებულებების ცვლილება	2,509.3	2,712.9	2,162.5	2,372.6	210.0	109.7%	-340.3	-12.5%
ზრდა	5,251.5	3,731.9	3,281.0	3,465.5	184.5	105.6%	-266.4	-7.1%
საშინაო	-306.5	1,346.3	1,400.0	1,459.4	59.4	104.2%	113.1	8.4%
საგარეო	5,558.0	2,385.5	1,881.0	2,006.1	125.0	106.6%	-379.5	-15.9%
კლება	2,742.3	1,019.0	1,118.5	1,092.9	-25.6	97.7%	73.9	7.3%
საშინაო	86.5	42.9	42.9	42.6	-0.3	99.3%	-0.2	-0.5%
საგარეო	2,655.8	976.1	1,075.6	1,050.3	-25.3	97.6%	74.2	7.6%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	